ხაშურის მოამბე

№1 (182) 7 იანვარი, ორშაბათი, 2019 წელი

გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

დიდხანს ელოდა ადამიანი მაცხოვრის გამოჩენას. ელოდა იმ დღიდან, როცა სამოთხიდან განდევნილებს იმედად გამოაყოლათ ღმერთმა:

- მოგივლენთო მხსნელს და გაუსრესსო გველს თავს.

მშობლიურ გარემოს მოცილებულნი სევდითა და სასოებით ელოდნენ. მაგრამ ცოდვებით დღითი-დღე დამძიმებულნი სულ უფრო და უფრო ეშვებოდნენ ქვესკნელისკენ.

ისევ შემოქმედმა შეაშველა ხელი. წადმა შემოატრიალა ეშმაკის მიერ უკუღმა დატრიალებული ცხოვრების ჩარხი და იწყო ათვლა ახალმა წელთაღრიცხვამ მიწიდან ცისკენ. და დაედო ამ წელთაღრიცხვას საძირკვლად ქრისტეს შობა.

ჩუმად, თავისთვის ამობრწყინდა ცაზე უჩვეულოდ მოკაშკაშე ვარსკვლავი. მაგრამ ვისთვისაც ამობრწყინდა, ვერ გულისხმაჰყვეს. არც აუწევიათ თავი ცისკენ. იყვნენ ამქვეყნიურ ორომტრიალში ჩაფლულნი. შორს, აღმოსავლეთში კი მოგვებმა მაშინვე შეამჩნიეს იგი და ისწრაფეს კიდეც მისკენ.

გარშემო კი დუღდა და ჩქეფდა ცხოვრება. დიდებულ პალატებში, სრა-სასახლეებში რბილ, ფაფუკ ხალიჩებზე დააბიჯებდნენ ამა ქვეყნის მესვეურნი. ის კი, მაცხოვარი, განხორციელებული სიტყვა, იესო ქრისტე, უფალი ჩვენი ჩვეულებრივი ჩვილი ბავშვივით იწვა ცხოველთათვის განკუთვნილ ბაგაში და ადამიანებს შობისთანავე უმხელდა უდიდეს საიდუმლოს: სიმდაბლეშიაო ადამიანის დიდება. ამქვეყნიური ყოფა და ფუფუნება კი არ განსაზღვრავსო ადამიანის პიროვნებას, არამედ ის, რაც მის შიგნითაა, მისი შინაგანი სამყაროთი წარმოჩინდებაო იგი. ასე ასწავლიდა, მორჩილებითა და თავმდაბლობით გადარჩებაო ადამიანი. ამ სიბრძნისგან კი შორს იდგნენ ადამიანები. ამიტომაც იყო ერთი, უბრალო, ღარიბული ქოხიც კი არ აღმოჩნდა, რომ შეეფარებინა უფალი, უფალი, რომლის შობასაც ასე უგალობეს ანგელოზებმა:

- დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება.

და იშვა იესო, ბეთლემს, გამოქვაბულში, სადაც უამინდობისას მწყემსები საქონელს აფარებდნენ.

„ქალწული შობს დღეს მაცხოვარს“ - გალობს წმიდა ეკლესია და ურწმუნოთათვის ალბათ დაცინვის საბაბიც ხდება ეს:

- როგორ დღეს?! განა ორი ათასი წლის წინ არ იშვა?!

საერთოდ, საეკლესიო დღესასწაულები საეროსგან სწორედ იმით განსხვავდება, რომ ისინი ყოველწლიურად ისეთივე სიკაშკაშით გამოირჩევიან, როგორც პირველშობისას. სულ სხვაა საერო დღესასწაულები. რამდენი ღირსშესანიშნავი თარიღი შემოუნახავს კაცობრიობის ისტორიას, დროთა მსვლელობაში რომ გაფერმკრთალებულან, ფერი უცვლიათ. საეკლესიო დღესასწაულთა განცდა კი მორწმუნეთა გულებში კვლავ ინარჩუნებს პირვანდელ ბრწყინვალებას.

წელსაც მოაწია ქრისტეს შობამ. მწყემსების მსგავსად ვისწრაფოთ მისკენ. უარვყოთ ჰეროდესეული მტრობა მისდამი. მერე რა, რომ ცოდვებით დამძიმებულნი ვართ, შებილწულნი. განა ცხოველთა ბაგა იუკადრისა ღმერთმა?! ნუ შევშინდებით. იმედი ვიქონიოთ. ღმერთი არ გაგვწირავს. შემოვუშვათ ჩვენს გულში ქრისტე და იგი განგვიწმენდს გონებას, გაგვიხსნის ყურთასმენას და კვლავ გავიგონებთ ანგელოსთა გალობას: დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. ამინ!

შობის მოვლენები ორ მახარებელს აქვს აღწერილი - მოციქულ მათეს (რომლიც თორმეტთაგანი იყო) და ლუკას (რომელიც სამოცდაათთაგანი იყო). რამდენადაც მათე მახარებელი თავის სახარებას ებრაელთათვის წერდა, იმდენად იგი მესიის წარმომავლობაში ხაზს უსვამს მამამთავარ აბრაამსა და დავით მეფეს, როგორც ეს წინასწარმეტყველთაგან იყო ნაწინასწარმეტყველები. ამიტომაც მათე მახარებელი ასე იწყებს სახარებას: „წიგნი წარმოშობისა იესო ქრისტესი: დავითის ძისა, აბრაამის ძისა“ (მათე 1,1-17).

იცოდა რა მახარებელმა, რომ იესო არ იყო იოსების (ქალწულ მარიამის ქმარი) შვილი, იგი არ ამბობს, რომ იოსებმა შვა იესო, არამედ გენიოლოგიური ხაზის აღწერისას ამბობს, რომ „იაკობმა შვა იოსები, ქმარი მარიამისა, რომლისგანაც იშვა იესო, ქრისტედ წოდებული“. მაგრამ რატომ მოჰყავს მაშინ მას იოსების წარმომავლობა და არა მარიამისა? საქმე ისაა, რომ ებრაელები არ აღწერდნენ თავიანთ წარმომავლობას დედის ხაზით (შეიძლება ითქვას, ქალის ხაზით). ამასთან, რჯული მათ ცოლის მოყვანას წარმომავლობის იმ შტოდან ავალებდა, რომელსაც ქმარი მიეკუთვნებოდა, ამიტომაც მახარებელმა წეს-ჩვეულებას არ გადაუხვია და იოსების წარმოშობის აღწერით აჩვენა, რომ მარიამი - ცოლი იოსებისა და, შესაბამისად, მისგან შობილი იესო, დავითის შტოდან არიან წარმოშობილნი.

წმინდა ლუკა მახარებელი კი აღნიშნავს, რომ ქრისტეს შობა რომის იმპერიაში გამოცხადებულ ხალხის აღწერას დაემთხვა და როგორც უკვე ითქვა, ებრაელები თავიანთ წარმომავლობას შტოების და შთამომავლობის მიხედვით აწარმოებდნენ. ეს ჩვეულება იმდენად ძლიერი იყო, რომ იმპერატორ ავგუსტუსის განკარგულების შეტყობისთანავე, ყოველი მათგანი იმ ქალაქებისკენ გაემართა, საიდანაც იყვნენ წარმომავლობით. იოსები და ქალწული მარიამი გალილეაში, ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ, როგორც ცნობილია, წარმომავლობით დავითის შტოდან იყვნენ, ამიტომაც ისინი ჩასაწერად ბეთლემში გაემგზავრნენ, რომელსაც დავითის ქალაქი ჰქვია, სადაც დაიბადა და მეფედ ეკურთხა დავით მეფსალმუნე. ბეთლემი იერუსალიმთან ახლოს, მის სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქია. ნაზარეთიდან ბეთლემამდე გზის გავლას სამ დღეზე ცოტა მეტი სჭირდებოდა. ბეთლემიდან აღმოსავლეთით იყო დავითის ჭა, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს - გამოქვაბული. როცა იოსები და მარიამი ქალაქს მიუახლოვდნენ, მარიამს მშობიარობის დრომ მოუწია. იოსებმა დასაბინავებელი ადგილის ძებნა დაიწყო, მაგრამ ვერ იპოვა, რადგან, აღწერის გამო, უამრავი ხალხი იყო ბეთლემში თავმოყრილი. ვინაიდან უკვე დამდებოდა და მომავალი მესიის დედისთვის არ აღმოჩნდა ქალაქში ადგილი, იოსები და მარიამი იძულებულნი გახდნენ ქალაქგარეთ, სწორედ იმ გამოქვაბულში შეეფარებინათ თავის, სადაც უამინდობისას მწყემსები თავიანთ ნახირს აბინავებდნენ.

იესო ქრისტე იშვა ღამით, როცა ბეთლემში და მის შემოგარენში ყველა ღრმა

ძილს იყო მიცემული.

შობის ღამეს, მთელს სამყაროში, დიადი სასწაულები მოხდა. მაცხოვრის დაბადებისთანავე, გამოქვაბულში, უეცრად, პირდაპირ ქვიდან წყარომ ამოხეთქა; მისგან შორს, რომში კი მიწიდან სურნელოვანმა ზეთმა იწყო დენა და მდინარის წყალს შეერია; წარმართული ტაძარი, რომელსაც მარადიულს ეძახდნენ, დაინგრა, მასში მდებარე კერპები დაიმსხვრა, ცაზე კი სამი მზე გამოჩნდა; ესპანეთში, იმ ღამეს, ცაზე თვალისმომჭრელად მბრწყინავი ღრუბელი გაჩნდა; ისრაელში, მიუხედავად ზამთრისა, ვაზი აყვავდა. ხოლო ყველაზე დიდი სასწაული ანგელოზების გამოცხადება იყო, რომლებიც მწყემსებს გამოეცხადნენ და სახარებაშიც არის აღწერილი:

გამოქვაბულის მოპირდაპირედ, რომელშიც მაცხოვარი იშვა, მაღალი კოშკი იდგა. კოშკში მწყემსები ცხოვრობდნენ. სამ მათგანს იმ ღამეს არ ეძინა, ვინაიდან ფარას მწყემსავდნენ. სწორედ მათ გამოეცხადა მთავარანგელოზი გაბრიელი ზეციური ბრწყინვალებით. მის დანახვაზე მწყემსები ძალიან შეშინდნენ, მაგრამ გაბრიელმა უთხრა მათ: „ნუ გეშინიათ! მე გახარებთ თქვენ უდიდეს სიხარულზე, რომელიც იქნება ყოველი ადამიანისთვის: რამეთუ დავითის ქალაქში მხსნელი იშვა, რომელიც არის უფალი ქრისტე“. ამ სიტყვებით მთავარანგელოზმა მესიის ჭეშმარიტ დანიშნულებაზე მიანიშნა, რომელიც არა მარტო ებრაელთათვის მოვიდა, არამედ ყველა ხალხისთვის, რამეთუ სიხარული იქნება ყველასათვის, ვინც მას მიიღებს, როგორც მხსნელს. გაბრიელმა ისიც უთხრა მწყემსებს, თუ სად იპოვიდნენ ახალშობილ ყრმას.

იმ დროს, როცა გაბრიელმა ამის შესახებ მწყემსებს აუწყა, ზეციდან მრავალი ანგელოზის გალობის ხმა მოისმა, რომლებიც ასე ადიდებდნენ ღმერთს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

რატომ აირჩია ანგელოზმა უბრალო მწყემსები და არ აუწყა ქვეყნად მესიის მოვლინება იუდეველ უხუცესებს, მწიგნობრებსა და ფარისევლებს? იმიტომ, რომ „ბრმების ბრმა წინამძღოლებმა“ დაივიწყეს მესიის შესახებ წინასწარმეტყველების ჭეშმარიტი არსი.

ერთმანეთში მოთათბირების შემდეგ, მწყემსებმა გადაწყვიტეს ახალშობილის დაბადების ადგილას მისულიყვნენ და ენახათ მართალი იყო თუ არა, რაც მათ მთავარანგელოზმა უთხრა. მისულებმა ნახეს საქონლის ბაგაში მწოლარე

(დასასრული II გვერდზე)

გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

(დასასრული)

ყრმა და ყველაფერი სწორედ ისე იყო, როგორც მათ ეუწყათ. მწყემსებმა ირწმუნეს, რომ ის იყო მესია, რომელსაც ამდენ ხანს ელოდნენ და რომ იგი მოვიდა, რათა იხსნას კაცობრიობა.

მათ ყველაფერი უამბეს წმინდა იოსებსა და ღვთისმშობელს. სალომეა (ნათესავი ღვთისმშობლისა და იოსებისა) და ყველა იქ მყოფი, რომლებიც ახალშობილის სანახავად იყვნენ მოსულები, გაოცდნენ მწყემსების მონათხრობით. ღვთისმშობელი კი „ჩუმად უსმენდა მათ და იმარხავდა ყოველ სიტყვას გულში“.

რამდენიმე თვით ადრე ქრისტეს შობამდე, ცაზე უჩვეულო ვარსკვლავი გამოჩნდა. აღმოსავლელმა მოგვებმა (მოგვებს უწოდებდნენ განსწავლულ ადამიანებს, რომლებიც აკვირდებოდნენ და იკვლევდნენ ციურ მნათობებს) და ფილოსოფოსებმა შეამჩნიეს იგი და დაიწყეს ფიქრი თუ რას ნიშნავდა ამ საკვირველი ვარსკვლავის გამოჩენა. როგორც წმინდა მამები ამბობენ, შობის ვარსკვლავი ცაზე იმ მომენტიდან აინთო, როცა მთავარანგელოზმა გაბრიელმა ქალწულ მარიამს ახარა, რომ მისგან იშვება ქვეყნიერების მხსნელი.

იმ პერიოდისთვის ხალხს სჯეროდა, რომ დიდი ადამიანის დაბადებისას, ცაზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა. მრავალმა წარმართმა, უმეტესად სპარსეთში, ებრაელთაგან იცოდა მომავალი მესიის, იუდეველთა დიადი მეფის შესახებ. სპარსი მოგვები ელოდნენ, რომ, როცა დაპირებული მეფე დაიბადებოდა, ცაზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა. მართალია წინასწარმეტყველება მესიის ვარსკვლავის შესახებ სულიერი გაგებით იუწყებოდა, მაგრამ ღმერთმა, მისი გულმოწყალებით, წარმართებში რომ რწმენა გაეღვიძებინა, ცნობა მათთვის უფრო გასაგები ფორმით, ცაზე უჩვეულო ვარსკვლავის გამოჩენით მისცა.

როცა ქრიტეს შობამდე ცოტა დროღა იყო დარჩენილი, სამი მოგვი, ყოველი თავისი ქვეყნიდან, გაემართნენ პალესტინისკენ.

იოსები და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ახალშობილ ყრმასთან ერთად ჯერ კიდევ ბეთლემში იმყოფებოდნენ, როცა შორეული აღმოსავლეთიდან წამოსული მოგვები იერუსალიმში მივიდნენ. იერუსალიმიდან ბეთლემისკენ მიმავლებს გზას ისევ ის უჩვეულო ვარსკვლავი უჩვენებდა, ვარსკვლავი თითქმის მიწამდე დაეშვა და ბოლოს იმ გამოქვაბულის თავზე გაჩერდა, სადაც ბაგაში ახალშობილი მაცხოვარი იწვა. იხილეს რა საქონლის ბაგაში მწოლიარე ყრმა, აღმოსავლელი ბრძენნი მიხვდნენ, რომ ახალშობილის მეუფება ფუფუნებაში და დიდებულ დარბაზებში კი არა, სიღარიბეში, მორჩილებაში და ამქვეყნიური დიდების მოძულებაში იყო. წარმართ განსწავლულებზე მათთვის მოულოდნელმა სანახაობამ არ იმოქმედა და ის რწმენა არ შერყევიათ, რის გამოც ასეთი გრძელი გზა გამოიარეს. პირიქით, შევიდნენ საქონლის სადგომში, მიეახლნენ ბაგაში მწოლიარე ყრმას და თაყვანის სცეს არა მარტო როგორც მეფეს, არამედ როგორც ღმერთსაც და ძღვენიც მიართვეს: ოქრო, გუნდრუკი და მური. ოქრო - როგორც მეფეს, გუნდრუკი - როგორც ღმერთს და მური - როგორც კაცს, ვინაიდან მურს გარდაცვლილის ცხედრის გასაპატიოსნებლად იყენებდნენ, რათა შენახულიყო იგი.

მაცხოვრის შობასთან დაკავშირებულ მონათხრობში კიდევ ის არის შესანიშნავი, რომ პირველები, ვინც ახლადდაბადებულ მხსნელს თაყვანისცეს, მწყემსები იყვნენ, ბუნების ჭეშმარიტი შვილები, რომლებსაც მაცხოვრისათვის მხოლოდ თავიანთი გულის საგანძური შეეძლოთ მიეძღვნათ, გულის საგანძე - სავსე უბრალოებით, რწმენით და მორჩილებით. უკვე მოგვიანებით კი სიბრძნით აღჭურვილი მოგვები მივიდნენ აღმოსავლეთიდან. ეს ალბათ იმაზე მეტყველებს, რომ გულის უბრალოებას და ღრმა კეთილსინდისიერ მეცნიერებას ერთნაირად მიჰყავს ადამიანი ქრისტემდე. მხოლოდ პირველი გზა პირდაპირია, მოკლე და უფრო სარწმუნო, ვიდრე მეორე. მწყემსებს უშუალოდ ანგელოზებმა აუწყეს, ხოლო მოგვებმა უტყვი ვარსკვლავის გამოჩენიდან მოყოლებული, ძნელადსავალი და არცთუ უხიფათო გზა გაიარეს ვიდრე სასურველ მიზანს მიაღწევდნენ.

ვინ მოსთვლის, რამდენი საუკუნეა ქართველი ამ საოცარი ამბით, სიხარულითა და ვარსკვლავით განათებულ ღამეში უხვად: ფულით, ფქვილით, ერბოთი, თხილ-კაკლით, საშობაოდ დაკლული ღორის ხორცით, ყოველივე იმით, რაც მოეპოვებოდა და რა თქმა უნდა, კვერცხით, აჯილდოვებდა მეალილოებს, შობის სიმბოლოთი, რომელიც სულ მალე, აღდგომას, ქრისტეს ჯვარცმის ნიშნად წითლად შეიღებებოდა და მეჭონეებს, ქრისტეს აღდგომის მახარობლებს მიერთმეოდა. კვერცხით, რომელიც ოდითგან საუცხოო საჩუქრად ითვლებოდა. და ვაი, მას, ვინც ძღვენს დაინანებდა (მეალილოეთა ძღვენის გარეშე გაშვება ხალხში ფუძის უბარაქობისა და ზიანის მომტანად ითვლებოდა) იმ მწყემსთათვის, რომლებიც ღვთისა და ანგელოზებისაგან დამოძღვრილ სახარებისეულ წინაპრებს განასახიერებდნენ, ვისაც მთელი ქვეყნისათვის ღვთისა და ანგელოზების ნებით დიდი საიდუმლო, მომავალი, მარადიული, მარადიული ხსნის საწინდარი უნდა გაენდოთ. ამას გარდა, ქრისტიანი ქართველი მოსულში, ყოველ სტუმარში, მათ შორის ყოველ მეალილოეში ღმერთს ხედავდა, რომელთათვის მირთმეული ძღვენი შესაწირიც იყო და საჩუქარიც, დიდებაც და თაყვანისცემაც.

რატომ აღვნიშნავთ მაცხოვრის შობას ჩვენ 7 იანვარს, დასავლურ ქრისტიანულ სამყარო კი - 25 დეკემბერს?

შობის დღესასწაული მართლმადიდებლური სამყაროს უდიდესი და გამორჩეული მოვლენაა, საქართველო ტრადიციულად 7 იანვარს აღნიშნავს მაცხოვრის შობას, მაგრამ ყოველი დღესასწაულის მოახლოებასთან ერთად თავს იჩენს ასევე ტრადიციული კითხვები:

რას ნიშნავს “ძველი” და “ახალი” სტილი? რატომ ვდღესასწაულობთ მაცხოვრის შობას ჩვენ 7 იანვარს, დასავლურ-ქრისტიანული სამყარო კი - 25 დეკემბერს? ან რატომ ვდღესასწაულობთ ახალი წლის შემობრძანებას ორჯერ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და მოსახლეობის გათვითცნობიერება ორიოდე სიტყვით ძალიან რთულია, ვინაიდან ეს საკითხი ოდითგანვე ღრმა ანალიზისა და კვლევის საგანს წარმოადგენდა. ჩვენთვის ამოსავალი წერტილი და ერთადერთი ჭეშმარიტება არის ის გზა, რომელიც ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ გაიარა და რომლისგანაც საუკუნეების მანძილზე არც ერთი მისხალით არ გადაუხვევია. აქედან გამომდინარე, ყველა საეკლესიო თარიღი შესაბამისობაში მოდის იმ ძირითად მოთხოვნასთან, რაც საეკლესიო დღესასწაულის მოწესრიგებული წესით განლაგებასა და ჰარმონიულ თანწყობას გულისხმობს, ანუ რასაც იესო ქრისტე შეეხო, ყოველივე განწმინდა.

ქრისტეს შობამდე, I საუკუნეში, 44 წელს, რომის იმპერატორმა იულიუს კეისარმა ეგვიპტელი მეცნიერების დახმარებით ახალი კალენდარი შემოიღო, რომლის მიხედვით წელიწადის პირველ დღედ 1 იანვარი გამოაცხადა. ხსენებული კალენდარი ეკლესიის წიაღში არ შექმნილა და არც კეისარი გახლდათ საეკლესიო მოღვაწე. კალენდარი არ იყო ქრისტიანობის დროინდელი, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით დროის ათვლის ყველაზე სრულყოფილ მოდელს წარმოადგენდა. ეკლესიამ იულიუსის კალენდარი შეითვისა არა როგორც სარწმუნოებრივი ღირებულების შემცველი სისტემა, არამედ როგორც მეცნიერული აზრის მონაპოვარი ისევე, როგორც შეითვისა ქრისტიანობამდელი ანბანი, სამშენებლო ხელოვნება და სხვა.

IV საუკუნიდან, როდესაც იულიუსის კალენდარი მოექცა საეკლესიო მსახურების წიაღში, იგი უწმინდეს დღესასწაულთა აღმნიშვნელი გახდა. 325 წელს, ნიკეაში გამართულ მსოფლიო I საეკლესიო კრებაზე ამ საკითხზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღეს. იქიდან მოყოლებული, მართლმადიდებელი ეკლესია იულიუსის კალენდრით, ანუ ძველი სტილით აღნიშნავს ყველა საეკლესიო დღესასწაულს. კეისრის დროინდელი კალენდრისგან ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ საკულტო ორიენტირების ნაცვლად კალენდრის ცენტრალური ადგილი მაცხოვრის ბზრყინვალე აღდგომის თარიღმა დაიკავა.

1582 წელს კალენდრის “რეფორმა” მოხდა რომის პაპ გრიგოლ II ინიციატივით და იულიუსის კალენდრის პარალელურად, გრიგორიანულიც იქნა შემოღებული, რომლის შედეგად ეს უკანასკნელი ყველა უძრავ მართლმადიდებლურ დღესასწაულს დაშორდა ათი დღით, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში “დროის დეკრეტით” სამი დღეც დაემატა. ჯერ კიდევ 325 წელს, ნიკეის მსოფლიო I საეკლესიო კრებაზე ბრწყინვალე აღდგომის თარიღის აღნიშვნის საკითხიც იქნა განხილული. წმ. მეფე კონსტანტინე დიდმა ნიკეიდან ეპისტოლეები გაუგზავნა ყველა იმ ეპისკოპოსს, რომლებიც წმიდა კრებას არ ესწრებოდნენ. ეპისტოლეს ერთ-ერთ ფრაგმენტში წერია: “...დაე, თქვენმა კეთილგონიერებამ განსაზღვროს, თუ რამდენად არასაქებარია და საძრახისი, რათა ერთსა და იმავე დღეებში ერთნი მარხულობდნენ და სხვანი კი იხსნილებდნენ და აღდგომის დღის შემდეგ კი პირველნი ზეიმობდნენ და იშვებდნენ, მეორენი კი მარხულობდნენ”.

მართალია, აქ ბრწყინვალე აღდგომაზეა ყურადღება გამახვილებული, მაგრამ უდავოა, რომ წმიდა მამებს მხედვლობაში ექნებოდათ სხვა საეკლესიო დღესასწაულებიც.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კალენდრის დაზუსტება ან დახვეწა, ან მასში რაიმე ცვლილების შეტანა სათანადო დასაბუთებისა და შეთანხმების გარეშე ფრიად საზიანოა ეკლესიის ერთობისათვის. ეს საკითხი მსოფლიო I საეკლესიო კრებაზე გადაწყდა და მისი შეცვლა მხოლოდ მსოფლიო კრების კომპეტენციაში რჩება.

ამგვარი დასაბუთება ახალი სტილის გარდაუვალი აუცილებლობის შესახებ არ არსებობს და შესაბამისად, არც საყოველთაო შეთანხმებაა მიღწეული. ყველაზე “ხილული” და მყარი არგუმენტი, რაც ყველასთვის ნათელია და რაც აღიარებს ძველი სტილის უპირატესობას ახალთან შედარებით, მაცხოვრის საფლავზე, აღდგომის დღის დადგომისთანავე, იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქის სანთლებზე ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლაა (და სხვა სასწაულები, რომლებიც იულიუსის კალენდრის მიხედვით აღესრულება)! ღვთის მიერ მოვლენილი ეს ზეციური სასწაული სწორედ იმის დასტურია, რომ ძველი სტილი, ანუ ის გზა, რომელსაც განუხრელად ადგას მართლმადიდებელი ეკლესია, არის სრულიად გაცნობიერებული, ერთადერთი ჭეშმარიტი პოზიცია, რომელიც ყველაზე უკეთ არეგულირებს საეკლესიო ცხოვრების ჰარმონიულ რიტმს. სწორედ ეს არის იულიუსის კალენდრის დოგმატური ღირსება, რომელსაც მყარად იცავს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია.

ქრისტეშობა აღდგომის შემდეგ უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია. ჩვენში ეს 7 იანვარს აღინიშნება. ყოველმა მართლმადიდებელმა მორწმუნემ, რომელიც თავს ეკლესიის წევრად მიიჩნევს, უნდა იცოდეს, თუ რომელი კალენდრით ცხოვრობს მისი ეკლესია. ამიტომ ჩვენ, როგორც დედა ეკლესიის წევრები, ვალდებულნი ვართ, მხოლოდდამხოლოდ ძველი კალენდრის მიხედვით ვიზეიმოთ ქრიტეშობაც და სხვა ყველა ქრისტიანული დღესასწაულიც.

რაც შეეხება ახალ წელს, ეს საერო დღესასწაულია და ახალი სტილით 1 იანვარს შეესაბამება. საქართველოს ეკლესია საახალწლო პარაკლისს ძველი სტილით, 14 იანვარს იხდის და საგანგებო ლოცვასაც აღავლენს. 1 იანვარს, როდესაც საერო კალენდრით მთელ პლანეტაზე ახალი წელი დგება, საქართველოში არაეკლესიური ხალხი სუფრითა და ზეიმით ხვდება ამ თავსმოხვეულ დღესასწაულს, მომარხულეები კი 7 იანვარს, ანუ ნამდვილ 25 დეკემბერს - ქრისტეშობას გაიხსნილებენ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის 2018 წლის ანგარიში

ინფორმაცია გაწეული კონსულტაციების შესახებ:

ხაშურის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 2018 წელს გაწეული იქნა 4074 კონსულტაცია ფერმერებსა და აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირებზე. ოფისში გაწეული იქნა 2109 კონსულტაცია. ოფისის გარეთ - 1965 კონსულტაცია, მათ შორის, სატელეფონო საუბრით - 357 და სოციალური ქსელის საშუალებით - 119 კონსულტაცია.

შეხვედრები ფერმერებთან და აგრარულ სფეროში დასაქმებულ პირებთან

2018 წელს სამსახურის მთელი შემადგენლობა საექსტენციო სამუშაოებს და კონსულტაციებს ვაწარმოებდით მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა ადმინისტრაციული ერთეულის დასახლებების პუნქტებში.

საექსტენციო საუბრებს და კონსულტაციებს ვუტარებდით და რჩევა-დარიგებებს ვაძლევდით ფერმერებს. აგრარულ სფეროში დასაქმებულ და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების საკითხებით დაინტერესებულ პირებს. შეხვედრებს ვაწყობდით, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის ოფისებში, ასევე სოფლის მოსახლეობის თავშეყრის ადგილებში, საველე პირობებში და ქ. ხაშურში საკრებულოს სხდომათა და სასტუმრო „ივერიის“ საკონფერენციო დარბაზში.

შეხვედრებისათვის წინასწარი შერჩევა ხდებოდა სასაუბრო თემების სოფლების მიხედვით გავრცელებული ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოყვანის თანამედროვე აგროტექნოლოგიების და მათი გამოყენების პირობებში საბოლოო სამეურნეო და ეკონომიკური შედეგების მიღებაზე და სხვა.

სექსტენციო საუბრებთან ერთად, დამსწრე პუბლიკას ფართოდ ვაცნობდით იმ მრავალ სამთავრობო პროექტებს და პროგრამებს, რომლებიც ინიცირებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ინიციატივით, სახელდობრ: „დანერგე მომავალი“, „აგროწარმოების ხელშეწყობის“, „აწარმოე საქართველოში“, „აგროდაზღვევის“,„შეღავათიანი აგროკრედიტების“,„გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“ და სხვა არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების პროექტებს, აგრეთვე, 2019 წელში შესაძლო განსახორციელებელ ახალი პროგრამების პროექტებს და სხვა.

შეხვედრებისას და სამსახურის ოფისში ფართო გამოყენებაში გვქონდა თვალსაჩინოება, სატელეფონო და SMS შეტყობინებები. მსმენელებს ოფისში კონსულტაციებზე მოსულ პირებს ვურიგებდით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური მრავალტირაჟიანი გაზეთის „ჩვენი სოფელი“-ს ახალ ნომრებს, ასევე, დაინტერესებულ პირებს ვურიგებდით სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო -კვლევითი ცენტრის , სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს და სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცემულ ბროშურებს და ბუკლეტებს, ასევე, სამსახურის სპეციალისტების მიერ დარგების მიხედვით მორგებულ და შექმნილ საინფორმაციო-საკონსულტაციო მასალებს. შეხვედრებისას ფერმერებთან კითხვა -პასუხის რეჟიმით მუშაობას დიდი ეფექტი ჰქონდა, რასაც სისტემატიურად ვაწარმოებდით.

ფერმერებთან, სოფლების მიხედვით, შეხვედრებისას ვაფიქსირებდით მათ საქმიანობაში არსებულ პრობლემებს, რომელთა აღმოფხვრასაც ვახდენდით ჩვენი სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, ხოლო, ყველა საკითხი, რომელთა გადაწყვეტა ადგილზე შეუძლებელი იყო, მოვახდინეთ მათი თავმოყრა და გადმოეგზავნა სამინისტროს სათანადო დახმარების გაწევის მიზნით.

ფერმერთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ამაღლების მიზნით, წლის განმავლობაში სამსახურის ორგანიზებით დარგების მიხედვით ფერმერთა ჯგუფებს მონაწილეობა მივაღებინეთ საველე პირობებში მოწყობილ ტრენინგებში, გორის მუნიციპალიტეტის სოფ. კარალეთში „ელკანა“-ს ინიციატივით ბიოფერმერულ მეურნეობაში, სოფ. კვარხეთში USAID-ის ინიციატივით მეხილეობის ბაღებში თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენების და სოფ. კარალეთში - ვაშლის ბაღებში წაყინვების საწინააღმდეგო აგრეგატების პრაქტიკაში გამოყენების პრეზენტაციაზე.

ტრენინგებზე დამსწრე ფერმერთა რაოდენობამ 60 გადააჭარბა, რაც იმას მიანიშნებს, რომ ფერმერული საქმიანობის მიმდევართა რიცხვი დღითიდღე იზრდება და იგი პროგრესირებადი გახდა.

2018 წლის 15 აგვისტოს, სამინისტროს და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრის მეცნიერ მუშაკების შემადგენლობით შექმნილმა მობილური ექსტენციის ჯგუფმა, როგორც წინა წლებში, ისე საანგარიშო პერიოდში, მოვაწყეთ შეხვედრები საველე პირობებში მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის ს. ვაყაში, ოსიაურის ადმინისტრაციული ერთეული ს. ქვემო ოსიაურში, ცხრამუხის ადმინისტრაციული ერთეულის ამავე სოფელში და ხცისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. კრისხევში, შეხვედრაზე მონაწილეობა მივაღებინეთ მუნიციპალიტეტის დანარჩენი 9 ადმინისტრაციული ერთეულის დასახლებათა პუნქტების ფერმერებს და აგრარული საკითხებით დაინტერესებულ პირებს. სულ დამსწრეთა რაოდენობამ 150 გადააჭარბა. დამსწრეებს მეცნიერებმა, თვალსაჩინოებათა გამოყენებით, გააცნეს მემცენარეობის დარგების მიხედვით და მეცხოველეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მიღწევები, მცენარეთა დაცვის ღონისძიებები და სხვა. შეხვედრები, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხალხმრავალი იყო და ფერმერთა დიდი კმაყოფილება დაიმსახურეს გამომსვლელებმა.

სამსახურთან ფუნქციონირებს ფერმერთა საკონსულტაციო საბჭო 12 კაციანი შემადგენლობით, სადაც განიხილებოდა საკითხები: სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობა სეზონური ვადების მიხედვით, „ალოობა 2018“ წლის ორგანიზებულად ჩატარებისთვის და აზიური ფაროსანას გავრცელების და მასთან ბრძოლის ღონისძიებებზე. საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან ფართო მსჯელობა გვქონდა სამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მიერ განსახორციელებელ პროექტებზე, მათში ზოგიერთ შესაძლო ცვლილებებზე საკითხის დაყენებაზე და სხვა.

აგრარულ სფეროში, საერთაშორისო გამოცდილებების პრაქტიკული ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით, მუნიციპალიტეტის 45 ფერმერს, ჩვენი ორგანიზებით, მონაწილეობა მივაღებინეთ, 21 ნოემბერს, საგამოფენო ცენტრის „ექსპოჯორჯია“-ს მიერ მოწყობილ სოფლის მეურნეობის ტექნიკის, კვების მრეწველობის გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების და მცენარეთა დაცვის საშვალებების საერთაშორისო გამოფენაზე.

სისტემატიურად ვახდენდით ფერმერებთან ერთად ხილის, ყურძნის, ბოსტნეული და მარცვლეული კულტურების მწარმოებელი ფერმერების და სამეცნიერო ცენტრის სადემონსტრაციო ფართობების დათვალიერებას და მათი მიღწევების გაზიარებას, რაც სამომავლოდ აუცილებლად გაგრძელდება.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაცემული ცნობები

2018 წელში სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“-ს ფარგლებში გაცემულია 15 ცნობა 55.05 ჰექტარ ფართობზე მრავალწლიანი ნარგავების გაშენებისათვის, აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით გასაშენებელ კენკროვან და ბოსტნეულ კულტურებზე, წვეთოვანი გასარწყავების სისტემების მოწყობისთვის 4 ცნობა - 6.47 ჰექტარ ფართობზე.

შემოდგომით მომზადებულია ათობით ფერმერის მიერ მიწის ფართობი 2019 წლის გაზაფხულზე გასაშენებელი მრავალწლიანი კულტურების ბაღებისათვის, რაც პროგრამის დადებით მხარეზე მიუთითებს.

შეხვედრები ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან და მათ წარმომადგენლებთან

როგორც წინა წლებში. ასევე საანგარიშო წელსაც საქმიანი და კოლეგიალური ურთიერთობა გვქონდა საპარლამენტო ბიუროს, მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციული ერთეულების მერიის წარმომადგენლებთან, რომლებთანაც ყოველკვირეულად ვაწყობდით შეხვედრებს და მათგან ვღებულობდით ინფორმაციებს სასოფლო-სამეურნეო მიმდინარეობის, მოსავლის აღებისათვის საჭირო ტექნიკით უზრუნველყოფაზე, მოსავლის აღება-დაბინავების, საგაზაფხულო და საშემოდგომო ხვნა- თესვის, სამთავრობო პროექტების მომდინარეობის და აზიური ფაროსანას გავრცელების კერების შესახებ და სხვა.

ჩვენი სამსახურის მხრიდან, მათ მიეწოდებოდათ ყველა სიახლეებზე ინფორმაცია, მისი მოსახლეობაში ოპერატიულად გავრცელების მიზნით.

კარგი თანამშრომლობა გვქონდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გომის

საზოგადოებრივი ცენტრის თანამშრომლებთან, რასაც მომავალშიც გავაგრძელებთ.

შეხვედრები არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა გვქონდა საანგარიშო პერიოდში არასამთავრობო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელთა მონაწილეობით წლის განმავლობაში ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი და შეხვედრა ფერმერებთან და აგრარულ სფეროთი დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანა“-ს ინიციატივით, წლის განმავლობაში, რამდენიმეჯერ ჩატარდა ფერმერებისათვის ტრენინგები ხილისა და ხილ-კენკროვანი კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიების, მოსავლის დაბინავების, ქარსაფარი ზოლების გაშენების და მათი დადებითი მხარეების შესახებ და სხვა.

ტრენინგებზე, ჩვენს მიერ შერჩეულ ფერმერებთან ერთად, მონაწილეობას ვღებულობდით სამსახურის წარმომადგენლებიც. ტრენინგები იმართებოდა, აგრეთვე, მეფუტკრეობის, მეცხოველეობის, სურსათის უვნებლობის, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე USAID, BEAP-ის ინიციატივით და პროგრამებით.

ტრენინგები, აგრეთვე, გავიარეთ საველე პირობებში გორის მუნიციპალიტეტის ს. ძევერაში ვაშლის ბაღების მოვლა -მოყვანის საკითხებზე და სოფ. კარალეთში ვაშლის ბაღებში წაყინვების საწინააღმდეგო ტექნიკის პრეზენტაციაზე და სხვა.

საქართველოს სამრეწველო სავაჭრო პალატის მიერ მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრენინგები „ფუტკრის დაავადებებთან ბრძოლის მეთოდები და საზღვარგარეთული გამოცდილებები მეფუტკრეობაში“, „ევროდირექტივა მომხმარებლებისათვის სურსათთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ და სხვა.

შეხვედრები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან (სსიპ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებთან (ა(ა)იპ) და სახელმწიფო შპს- ებთან

საანგარიშო პერიოდში, შეხვედრები მოეწყო ქ. გორში შპს „საქართველოს მელიორაციის რეგიონული სამმართველოს ქარელის სერვისული ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან, შპს „მექანიზატორის“ აგარის სერვისცენტრის ხელმძღვანელებთან და მათ დაქვემდებარებაში ხაშურის მუნიციპალიტეტის ზონის მენეჯერებთან. შეხვედრებისას ჩვენს მიერ დაყენებული იქნა საკითხები მელიორაციის სფეროში არსებულ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაზე, რასაც რამდენიმე წელია ვიმეორებთ, ყველა დონეზე და იგი კვლავ მოუგვარებელია. რაც შეეხება შპს „მექანიზატორთან“ ურთიერთობებს იგი დამაკმაყოფილებელია და ფერმერების მოთხოვნები როგორც სახნავ ისე, მოსავლის ამღები ტექნიკით უზრუნველყოფაზე მართვადია და შენიშვნები მინიმუმამდეა დაყვანილი.

კონსულტაციის მიღების მიზნით ურთიერთობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრთან და პროფესიული სწავლების კოლეჯებთან

რჩევების და კონსულტაციების მიღების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, ვთანამშრომლობდით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცნიერ მუშაკებსა და აგრარული უნივერსიტეტის და თავისუფალი უნივერსიტეტის შესაბამისი კათედრის მეცნიერ-მუშაკებთან და აგრარული ლაბორატორიის მუშაკებთან, რომლებისგანაც მიღებულ რჩევების მიხედვით თეორიულ კონსულტაციებს ვაძლევდით

(გაგრძელება IV გვერდზე)

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის 2018 წლის ანგარიში

(გაგრძელება)

ფერმერებს და სხვა აგრარული საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ-ების, ა(ა)იპ-ების და შპს-ების ტერიტორიული ორგანოების საქმიანობა

2018 წელში, სამსახურს საქმიანი და კოლეგიალური ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, საქართველოს მელიორაციის რეგიონულ და ქარელის სერვის ცენტრებთან, შპს „მექანიზატორის“ და აგარის სერვის ცენტრის ხელმძღვანელებთან. საჭიროებისამებრ, ჩვენს მიერ ხდებოდა პრობლემური საკითხების დაყენება ზემოთ დასახლებულ ორგანიზაციების წინაშე, რომელიც ფერმერებთან შეხვედრებისას წარმოიშვებოდა, როგორც სატელეფონო, ისე წერილობითი ფორმით. დაყენებული საკითხებიდან ნაწილი ოპერატიულად გვარდებოდა, სახელდობრ, გაიწმინდა ტეზერში შოლის არხი, რომლის წყალობითაც ათობით ჰექტარი სას-სამეურნეო სავარგული დატბორვას გადაურჩა, ასევე, სოფ. ოსიაურსა და ვაყაში ჩატარდა შიგასარწყავი არხების წმენდითი სამუშაოები და სხვა, ხოლო დანარჩენი სოფ. ცხრამუხის შიგა სარწყავი სისტემები, ხცისის სატუმბი სადგურის და ამ ზონაში გასასარწყავებული 800 ჰექტარი ფართობის ცენტრალური მაგისტრალის აღდგენითი სამუშაოები საერთოდ არ დაწყებულა.

კვლავ გადაწყვეტას მოითხოვს „ზემო ხაშურის“ სარწყავი სისტემის აღდგენის საკითხი, რითაც, სარწყავიანდებოდა მუნიციპალიტეტის სამი ადმინისტრაციული ერთეულის - ალის, ფლევის და წაღვლის მიწის მესაკუთრეთა 3600 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რომელიც წინა საუკუნის 90-იან წლებამდე გამართულად მუშაობდა.

საქმიანი ურთიერთობა გვქონდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელობასთან და სპეციალისტებთან, რომელთა ძალისხმევით უკვე წარდგენილია ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოში მეცხოველეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე „კოდიწყაროს ტბა“-ზე საძოვრების ჯარით გადაცემისთვის სათანადო მასალები, რომელიც ჩვენს მიერ მოძიებულ საძოვრების საჯარო რეესტრის ამონაწერების სახით არის წარმოდგენილი.

სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთან, შპს „მექანიზატორთან“ ჩვენს ურთიერთობებზე ზემოთ მოგახსენეთ და ის კვლავ გაგრძელდება.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტსპეციალისტების მიერ 2018 წელში ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები

თურქულის ვაქცინაცია გაზაფხულზე ჩაუტარდა 7267 მრპ-ს და 444 წრპ-ს, ხოლო მოზარდებში რევაქცინაცია ჩაუტარდა 1977მრპ- და 100 წრპ-ს. შემოდგომით ვაქცინაცია ჩაუტარდა 8070 მრპ და 396წრპ-ს, რევაქცინაცია კი - 1931 მრპ და 50 წრპ-ს.

ნოდალურ დერმატიტზე აიცრა 7858 მრპ, ყირიმკონგოს დაავადებებზე დამუშავდა 200 სული მრპ.

ცოფზე აიცრა - 2501 ძაღლი და - 47 კატა, მათ შორის, 28 სექტემბერს, ცოფთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აიცრა - 239 ძაღლი და - 43 კატა.

ბრუცელიოზის დაავადებაზე ვაქცინაცია ჩაუტარდა - 1050 მრპ-ს და გაიცა შესაბამისი პასპორტები.

ანაბილური მოქმედების მქონე აკრძალული ნივთიერებების, ვეტპრეპარატების და დამაბინძურებლების კვლევის მიზნით, სოფ. გომში, კვლევა ჩაუტარდა 5 სულ ღორს. გამოკვლევის შედეგად მავნე ნივთიერებათა კვალი არ დადგენილა.

წლის განმავლობაში, პერიოდულად ხორციელდებოდა გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებად ვეტაფთიაქებში. ლაბორატორიული კვლევისათვის აღებულია ვეტპრეპარატების ნიმუშები, რომელთა გამოკვლევებმა უარყოფითი შედეგი არ აჩვენა.

საკარანტინო ობიექტების მონიტორინგის მიზნით ხეხილის ბაღებში აღებული იქნა 15 ნიმუში, საიდანაც დაავადებები არ გამოვლენილა.

მრავალწლიანი ნარგავების ხილის ბაღების მქონე ფერმერებს ჩაუტარდათ კონსულტაციები ბაქტერიული სიდამწვრის საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებებზე.

აზიური ფაროსანას გავრცელების ფაქტების დასადგენად განთავსებული იქნა 200 ფერომონიანი საჭერი, მათზე, ერთეულების სახით, დაფიქსირდა მუნიციპალიტეტის სოფ. ოსიაურში, სოფ. ხცისში, ს. კრისხევში, სოფ. გომში, დაბა სურამში, ქ. ხაშურში, სოფ. ალში და სოფ. ფლევში. მოსახლეობას სისტემატიურად უტარდებოდა კონსულტაციები ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში, მოთხოვნის მიხედვით ხდებოდა ფიტოსანიტარული სერთიფიკატების გაცემა და სხვა.

სურსათის უვნებლობის მიმართულებით, მონიტორინგი ხორციელდებოდა სახელმწიფო კონტროლის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

სახელმწიფო კონტროლის მექანიზმის მონიტორინგის გაწერილი გეგმის მიხედვით, ხორციელდებოდა სხვადასხვა ცხოველური და არაცხოველური წარმოშობის სასურსათო პროდუქტების ნიმუშების აღება ლაბორატორიული კვლევის მიზნით. შედეგებზე ხდებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების მიღება.

ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების მიმდინარეობის შესახებ

სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ 15 ბენეფიციარმა მიიღო მონაწილეობა, რომელთაც 55.05 ჰექტარი მიწის ფართობის სამეცნიერო ცენტრის მიერ დადგენილი კრიტერიუმებით დამუშავების და სარწყავი წყლის რესურსებით უზრუნველყოფაზე მიეცათ სათანადო ცნობები. აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით ისარგებლა 4 ბენეფიციარმა, რომელთაც 6.47 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებზე გააშენეს უეკლო მაყვალი, ჟოლო და დათესეს ბოსტნეული კულტურები.

ამავე პროგრამით, საანგარიშო პერიოდში, შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების სახელმწიფო პროექტში მონაწილეობისათვის ცნობა მიეცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს „სურამი 2017“-ს, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს 2019 წლიდან შეუდგება სოფ გომში აღნიშნულისათვის გამოყოფილ ადგილზე, შემნახველი საწარმოს სიმძლავრე 230 ტონაზეა გათვალისწინებული. თანადაფინანსება გათვალისწინებულია 380 ათასი ლარით. საკუთარი თანამონაწილეობა კი 565 ათასი ლარის შეღავათიანი გრძელვადიანი აგროკრედიტითაა უზრუნველყოფილი. სულ ობიექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 945 ათას ლარს შეადგენს.

რეგიონალური სამმართველოს და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მიღწევები და წარმატებები;

რეგიონალური სამმართველოს და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მიღწევები და წარმატებები

საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტები აგრძელებდნენ დებულებით განსაზღვრულ, ფერმერთა საჭიროებებზე ორიენტირებულ საქმიანობას;

სამსახურის მუშაკების მიერ, წლის განმავლობაში, სულ გაცემულია 4074 კონსულტაცია, ერთ თვეში საშუალოდ გაცემულია 339 კვალიფიციური, შედეგზე ორიენტირებული მეთოდური რჩევა-დარიგება;

კონსულტაციებისათვის ყველაზე მოთხოვნადი მიმართულებებია - სახელმწიფო პროგრამები, რაზედაც გაცემულია 898 კონსულტაცია, მეხილეობა - მევენახეობა - 166 კონსულტაცია, მარცვლეული და პარკოსანი კულტურები - 147 კონსულტაცია და ა. შ.

დროულად, კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, ხდება სამინისტროს პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება; მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოპერატივების დახმარების პროგრამა განხილული იქნა ქვიშხეთის, ალის, წაღვლის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების მოსახლეობასთან 23 და 24 აპრილს გამართული შეხვედრებისას, „შეღავათიანი აგროკრედიტის“ სამთავრობო პროგრამაში შესული ცვლილებები ეცნობათ დაინტერესებულ მოქალაქეებს სხვადასხვა დროს და კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით და ა. შ.

ფერმერებს, მოთხოვნის აქტიურ რეჟიმში, მიეწოდებათ ინფორმაცია პროგრამა „დანერგე მომავალის“ შესახებ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამით უკვე გაშენებულია 35 ჰა ვაშლის, 8,5 ჰა ქლიავის, აგრეთვე, სხვა მრავალწლიანი კულტურების ინტენსიური ბაღები; ამ ეტაპზე, ახალგაზრდა ფერმერი დავით ხუხაშვილი 13 ჰექტარზე გააშენებს სელექციური კაკლის ბაღს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „კლდისწყაროს ბაღების“ მეპაიეები 10,5 ჰექტარზე დარგავენ ქლიავს და ა. შ. სამუშაოების მიმდინარეობაზე სამსახურს დაწესებული აქვს მონიტორინგი.

სამსახურის სპეციალისტების მიზანდასახული მეთოდური მუშაობით, მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულია ხორბლის მწარმოებელი-, მევენახე- და მეხილე ფერმერების, კარტოფილის მწარმოებელი- და მეფუტკრე ფერმერთა სამიზნე ჯგუფები; მათთვის სწავლება მიმდინარეობს სამსახურის მიერ ადგილზე ჩატარებულ ან სოფლებში გასვლისას ორგანიზებულ შეხვედრებზე; ამ მიზნით, 15 იანვარს, გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ვაყაში ჩატარდა შეხვედრა კარტოფილის მწარმოებელ და მებოსტნე ფერმერებთან, 9 თებერვალს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში, გაიმართა შეხვედრა მევენახე ფერმერებთან და ა. შ.

წლის განმავლობაში სულ ჩატარებულია 30 შეხვედრა, რომელსაც დაესწრო 714 ფიზიკური და იურიდიული პირი, მათ შორის 15 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. შეხვედრებზე მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია აგრარული დარგის სამთავრობო პროგრამების თაობაზე, გაეწიათ დარგობრივი კონსულტაციები, გაეცათ პასუხები დასმულ კითხვებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ სამსახურში არ არის ყველა დარგის სპეციალისტი, საჭიროებიდან გამომდინარე, ფერმერთა მოთხოვნის მიხედვით, ზოგჯერ ხდება სპეციალისტების ჩამოყვანა და შესაბამისი რჩევების მიღება; ასეთი მომსახურეობა „ელკანას“ სპეციალისტებისგან 15 მაისს მიიღეს ბოსტნეულის სათბურის მეპატრონემ სოფ. ქვემო ოსიაურში კიტრის მოყვანის საკითხზე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „გომი - 2015“ - ის მეპაიეებმა თესლოვანი ხილის ბაღის მოვლის საკითხებზე და ა. შ.

ფერმერები გამოთქვამენ მზარდ მოთხოვნას ახალი ცოდნის მიღებისა და ინოვაციების დანერგვისათვის; ამიტომაც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ტრენინგებსა და სწავლებებში; წლის განმავლობაში სულ ჩატარებულია 25 ტრენინგი, სწავლების თემები იყო - მეღორეობის დარგი, ჰიგიენა და უსაფრთხოება, ფუტკრის რძისა და სამამლე ჰომოგენატის წარმოება და ა. შ. ტრენინგებმა ფერმერების დიდი ინტერესი გამოიწვია.

მინიციპალიტეტის ფერმერებმა და აგრარული დარგში დასაქმებულმა მოქალაქეებმა 21 ნოემბერს, ქ. თბილისის საგამოფენო ცენტრში, დაათვალიერეს სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე - 17 საერთაშორისო გამოფენა; ფერმერები გაეცნენ ახალ ტექნოლოგიებს და სოფლის მეურნეობის სექტორში მიმდინარე სიახლეებს, მათ მიეცათ საშუალება, პირდაპირი კონტაქტები დაამყარონ მეწარმეებთან.

ინფორმაციისა და კონსულტაციების გაცემასთან ერთად, ფერმერებს, მოქალაქეებს გადაეცემოდათ სამინისტროს გაზეთის - „ჩვენი სოფელი“ ნომრები, მათ ურიგდებათ სამეცნიერო - კვლევითი ცენტრის მიერ გამოცემული ბროშურები, სამსახურის სპეციალისტების მიერ შედგენილი მეთოდური მასალები.

სამსახურს კონტაქტი ჰქონდა და აქვს დამყარებული ადგილობრივ მედიასთან, მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“ სისტემატურად აქვეყნებს სამსახურის სპეციალისტების მიერ მომზადებულ აგრარული შინაარსის ინფორმაციებს, მოსახლეობას აცნობს წარმატებული ფერმერების საქმიანობას და ქვეყნდება სამსახურის წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში და სხვა.

ასეთი მიზანდასახული მუშაობის შედეგიცაა ის, რომ მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმატებული ბენეფიციარი ფერმერებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობა; შემოსავლის ძირითად წყაროდ გადაიქცა ფერმერებისთვის - ჯუმბერ კილაძე, გურგენ გონგლაძე, სერგო მჭედლიძე და სხვ., აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების - „ცივი წყარო“, „ხაშურ - ქარელის მეფუტკრე 2015“, „სურამი - 2017“, „ბარაქა“ და სხვ. აგრარული საქმიანობა.

მუნიციპალიტეტის წარმატებულმა ფერმერებმა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და წარმოადგინეს საკუთარი პროდუქცია - თაფლი, ხილი, ყურძენი, ღვინო და ა. შ. 29 სექტემბერს გამართულ „ხაშურ-ქალაქობის“ ზეიმზე, 30 სექტემბერს ქ. გორში ჩატარებულ შიდა ქართლის აგროფესტივალზე და ა. შ.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში არიან ჩაბმული ბენეფიციარი ქალბატონები - ნანა შარაშიძე (კენკროვანი კულტურები), ნელი კაპანაძე(მეცხოველეობა), რუსუდან გელაშვილი(მეფუტკრეობა) და სხვ.

ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტს აწარმოებს სოფ. ხცისში მევენახე კონსტანტინე თუმანიშვილი, სოფ კრისხევში ბოსტნეულს - შოთა იონათამიშვილი, ხოლო, ბიომეურნეობების შექმნას აპირებენ დავით ქურდაძე, ირაკლი ბუაძე და სხვ.

აგრარული დარგით დაინტერესებულნი არიან და აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ახალგაზრდა ფერმერები - ხვიჩა ლომიძე (თხის ფერმა), აკაკი მეტრეველი (ხორბლის წარმოება), ძმები ლალუაშვილები (ადგილწარმოშობის ღვინოები) და სხვ.

სამსახურის მუშაკების მიერ მოპოვებული ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესახებ, აგრეთვე, სამეურნეო წლის განმავლობაში ნათესი და ნარგავი

(დასასრული V გვერდზე)

(დასასრული)

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის 2018 წლის ანგარიში

ფართობების სრული განახლებადი საინფორმაციო ბ ა ზ ი ს მონაცემები (დიდი ფართობები, მსხვილი ფერმერები, ვენახი, საწარმოები, მეცხოველეობა და ა. შ.) დადგენილ ვადებში მიეწოდება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს;

გაგრძელდა საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის კვლევის სამუშაოები; სამსახურის სპეციალისტებმა, ინსტრუქციის მიხედვით, დადგენილ ვადებში, რამდენჯერმე დავათვალიერეთ ხორბლის მწარმოებელი 14 ფერმერის კუთვნილი 187 ჰა ხორბლის ნათესები, ავიღეთ საანალიზო ნიმუშები, ჩავატარეთ მეთოდიკით განსაზღვრული სხვა სამუშაოები. კვლევის მასალები მიეწოდა სამინისტროს შესაბამის სამსახურს და ქარელის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურთან არსებულ ლაბორატორიას.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიხედვით, სავარაუდო მოსავლის განსაზღვრა ხდებოდა სამინისტროს მიერ დამტკიცებული მეთოდიკის გამოყენებით, ადგილებიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებისა და სამსახურის სპეციალისტების მიერ უშუალოდ მოპოვებული მასალების შეჯერების საფუძველზე; სისტემატურად წარმოებს ნაკვეთების დათვალიერება, ეს გვეხმარება სოფლად მცხოვრებ სპეციალისტებისა და მიწაზე დასაქმებულ მოქალაქეების საქმიანობის გაცნობასა და მათთან დაახლოებაში.

მუნიციპალიტეტის აგრარულ ბაზრებზე ყოველკვირეულად ხდებოდა ინფორმაციის შეგროვება სასოფლო- სამეურნეო პროდუქტების საბითუმო და საცალო ფასების შესახებ; მიღებული ინფორმაცია, გაანალიზებისა და გადამუშავების შემდეგ, მიეწოდებოდა სამინისტროს პოლიტიკისა და ანალიტიკის დეპარტამენტს. დაინტერესების შემთხვევაში ამ მასალებით, აგრეთვე, ინფორმაციით წარმოების საშუალებების ღირებულების შესახებ სარგებლობა შეეძლოთ ფერმერებს, მწარმეებს, მოქალაქეებს.

გრძელდებოდა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა და გაძლიერების მიზნით, სოფლად მოსახლეობის დასაქმებისა და სიღარიბის დასაძლევად მიმართული ორგანიზაციული მუშაობა.

საანგარიშო პერიოდში, მეფუტკრეობის კოოპერატივებისა და მეფუტკრე - ფერმერებისათვის ხაშურში ორჯერ ჩატარდა ტრენინგი საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ მოწვეული ლექტორების მიერ, ამ ღონისძიებებმა ფერმერების დიდი ინტერესი გამოიწვია.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ ორგანიზებული შეხვედრები მოქალაქეთა მოთხოვნებს ძირითადად აკმაყოფილებს და ისინი გამოთქვამენ ასეთ ღონისძიებებში განმეორებით მონაწილეობის სურვილს.

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტში, აშენდება თაფლის გადამამუშავებელი საწარმო, ამ საქმეში ჩართულნი არიან ჩვენს მუნიციპალიტეტში მოქმედი მეფუტკრეობის კოოპერატივები და მეფუტკრე ფერმერები.

მოსახლეობას მიეწოდებოდა ინფორმაცია სახელმწიფო პროექტების შესახებ, რომლებიც გაერთიანებულია ერთიანი სახელწოდებით - „აწარმოე საქართველოში სწრაფი განვითარებისათვის“ (აგროწარმოების ხელშეწყობის პროექტი, აგროდაზღვევა, შეღავათიანი აგროკრედიტი და ა. შ.).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისადმი ხელშეწყობა ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა სამსახურის პრიორიტეტია; ჩვენი ორგანიზებით ჩატარდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის IFAD, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ასოციაციის წარმომადგენელთა შეხვედრები მეფუტკრეობის, მეხილეობისა და მებოსტნეობის კოოპერატივებთან, კარტოფილის მწარმოებელ ფერმერებთან, საკალმახეებისა და სათევზე ტბორების მეპატრონეებთან.

მუნიციპალიტეტის საზღვრებში, მემცენარეობის პირველადი წარმოების პროდუქტების მიხედვით, სასაწყობო და გადამამუშავებელი საწარმოების არსებული პოტენციალის შესწავლის შემდეგ 220 ტონა ხილ-ბოსტნეულის ტევადობის მაცივარის აშენების რეკომენდაცია მიეცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „სურამი 2017“ - ის გამგეობას; სახელმწიფო თანადაფინანსებით აღნიშნული მშენებლობა სოფ. გომში განხორციელდება 2019 წლისათვის.

მოსახლეობას, ყველა დაინტერესებულ პირს მიეწოდებოდა ინფორმაცია სოფლის მეურნეობაში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის (კანონები „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესახებ“, „მიწის რეგისტრაციის რეფორმის შესახებ“, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ და ა. შ.) შესახებ და ვაცნობთ სამართლებრივ და საგადასახადო ვალდებულებებს.

მუნიციპალიტეტის ფოიეში შეუფერხებლად მუშაობს მონიტორი მოქალაქეებისათვის აგრარული დარგის სიახლეების მისაწოდებლად.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობისათვის მცირე ბიზნესის ხელშეწყობის სამთავრობო პროგრამის გაცნობის საკითხებზე, სპეციალისტების დახმარებით მომზადდა ათზე მეტი საპროექტო წინადადება, აქედან წარმატებას მიაღწია რამდენიმე მოქალაქემ.

სამსახურს საქმიანი ურთიერთობა აქვს მუნიციპალიტეტში მოქმედ იუსტიციის სახლის მუშაკებთან, მათ სისტემატურად მიეწოდებოდათ საცნობარო-მეთოდური მასალები (სამინისტროს გაზეთი „ჩვენი სოფელი“-ის ახალი ნომრები, ბროშურები და ა. შ.).

სამსახურის სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს გაეროს სურსათისა სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ აგრო - ტესტირების ელექტრონული პლატფორმის საშუალებით 24 – 26 ივლისს ჩატარებულ პროფესიული საჭიროებების კვლევაში და ყველა დარგის (მევენახეობა, აგროქიმია, მეხილეობა, მეცხოველეობა და ა. შ.) მიხედვით დაიმახსოვრეს მაღალი შეფასება.

სამსახურის სპეციალისტებმა დაწესებულ ვადაში გაიარეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოხელისათვის დადგენელი შეფასების პროცედურები და გადაეგზავნა იგი შესაბამის დეპარტამენტს.

მოქმედებს სამსახურის ინიციატივით საკონსულტაციო საქმიანობის გაფართოებისა და სრულყოფის მიზნით შექმნილი ფერმერთა საკონსულტაციო საბჭო. საკონსულტაციო საბჭოს სხდომებზე ხდება სხვადასხვა აქტუალური საკითხის განხილვა.

საველე ლაბორატორიის მეშვეობით მიმდინარეობდა ფერმერების კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ნიადაგისა და სარწყავი წყლის მჟავიანობისა და მარილიანობის, ასევე, ნიადაგის ნაყოფიერების განსაზღვრა; იმისათვის, რომ ფერმერმა უკეთესი მოსავალი მიიღოს, მიწის ლაბორატორიული ანალიზის გაკეთებაა აუცილებელი. მიმდინარე წელს, საველე ლაბორატორიით 60-მდე ფერმერმა ისარგებლა; ფერმერებთან ადგილზე ვიზიტითსაშუალება ეძლევათ გაიგონ თავიანთი ნაკვეთის ხარისხობრივი მაჩვენებლები, ვსაზღვრავთ ნიადაგის მჟავიანობას, სარწყავი წყლის მარილიანობას და ტუტიანობას, ასევე, მნიშვნელოვანი სამი ელემენტის - აზოტი, ფოსფორი, კალიუმი - შემცველობას როგორც ნიადაგში, ისე მცენარეში, რის გამოც გვიხდება ერთი და იგივე ფერმერთან მთელი სამეურნეო წლის განმავლობაში რამდენიმე ვიზიტი. მიღებული შედეგების გათვალისწინებით, ფერმერებს ეძლევათ შესაბამისი რეკომენდაციები.

სურსათის სააგენტოს მცენარეთა დაცვის სპეციალისტთან ერთად, ვაწარმოებთ საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებს მოქალაქეებისათვის აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებების გაცნობის მიზნით და სხვა.

რეგიონალური სამმართველოს და საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის პრობლემები:

სამსახურის ნორმალური მუშაობისთვის გვესაჭიროება ოფისში გაზგამათბობლები, ორი ერთეული ქსეროქსის აპარატისთვის კარტრიჯები.

სატელეფონო კონსულტაციების გაწევის მსურველთა რაოდენობის გაზრდის გამო, საჭიროთ მიგვაჩნია სამსახურის სპეციალისტებს მიეცეს კორპორაციულ ტელეფონებზე სალაპარაკო ლიმიტი, თვეში 10 ლარის რაოდენობით მაინც. საკითხის დადებითად გადაწყვეტა ერთიორად გააუმჯობესებს სამსახურის დებულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების ოპერატიულად და ხარისხიანად შესრულებას.

პრობლემები რეგიონში სოფლის მეურნეობის კუთხით და მოსაზრება / წინადადება / ხედვა პრობლემების მოგვარებაზე

კვლავ მოსაგვარებელია ხცისის სატუმბი სადგურის აღდგენის საკითხი. მოშლილია მთლიანად, გარდა სოფ. ვაყისა, შიდა სარწყავი სისტემები ქვიშხეთის, ცხრამუხის და გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში 2100 ჰექტარ ფართობზე.

ცალკე განხილვას ექვემდებარება „ზემო ხაშურის“ სატუმბი სადგურის აღდგენა სოფ. ვაყასთან, რომელიც 90-იან წლებში ასარწყავებდა ფლევის, წაღვლის და ალის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების 3600 ჰექტრამდე ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებით დაკავებულ ფართობებს.

მელიორაციის კუთხით შექმნილი პრობლემები, ერთის მხრივ, განპირობებულია ამ რამდენიმე წლის წინ გაუქმებული ტაშისკრის სარწყავი სისტემების მართვის ხაშურის სერვისცენტრის გაუქმებით, რომლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კვლავ არსებობს და მისი აღდგენა შესაძლებელია და აუცილებლობაცაა, რადგან სათავე ნაგებობა, წყალგამტარი დიუკერები, გვირაბები და 36კმ-იანი ცენტრალური მაგისტრალური არხი ჩვენი მუნიციპალიტეტის საზღვრებშია განთავსებული, მათ მომსახურეობაზე კი ქარელიდან ხდება ტექნიკის გადმოადგილება, რაც სამუშაოების ოპერატიულად წარმართვას დიდად აფერხებს.

გადაწყვეტას მოითხოვს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრზე ჯიშთა გამოცდისათვის და სადემონსტრაციო გამოყენებისათვის გამოყოფილი 12 ჰექტარი მიწის ფართობის სრულყოფილად გამოყენებისათვის სარწყავი ნაგებობების გადაცემის საკითხი, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოს საკუთრებას წარმოადგენს, საკითხის დადებითად გადაწყვეტა კი ჩვენს სამსახურს საშუალებას მისცემს გავუკეთოთ ფერმერებს ორგანიზება, რათა გაეცნონ ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების თანამედროვე ტექნოლოგიებით მოვლა-მოყვანის სამუშაოებს.

ასეთია მოკლე ანალიზი 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. იმედია, მიმდინარე 2019 წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით.

ჯემალ გელაშვილი,
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

- სკოლა -

ზნეობრივი აღზრდა ქვეყნის ხსნის ერთადერთი გზაა

გასულ კვირას, ხაშურის შოთა რუსთაველის სახელობის №9 საჯარო სკოლაში, ჩატარდა ღონისძიება სახელწოდებით „ზნეობრივი აღზრდა ქვეყნის ხსნის ერთადერთი გზაა”, რომლის ხელმძღვანელი და ავტორი ამავე სკოლის ქართული ენის ღვაწლმოსილი პედაგოგი ნანი კაპანაძე გახლდათ. ღონისძიება მთლიანად დაფუძნებული იყო უდიდესი ქართველი პოეტებისა და მწერლების შეგონებებსა თუ ზნეობრივი პრინციპებზე, რომლებზეც მრავალნი და მრავალნი აღზრდილან. შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, სულხან-საბა სწორედ ის ავტორები არიან, რომელთა შემოქმედებაშიც ყველაზე მძაფრად იგრძნობა ზნეობრივი იდეალებისკენ სწრაფვა და მათი მომავალი თაობისათვის გაზიარება. სიყვარული ზნეობრიობის საფუძველია, სიზარმაცე, სიცრუე, სიყალბე კი - მტერი, ეს იყო ძირითადი გზავნილი, რომელსაც ბავშვები დამსწრეთ უგზავნიდნენ და აგრეთვე, აღნიშნეს, რომ ბავშვის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მშობელთან ერთად, სკოლას და პედაგოგებს მიუძღვის, ქვეყნის განვითარების გზაზე დაყენება სწორედ, რომ ღირსეულად აღზრდილ ახალგაზრდობას ძალუძს. „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოვლისა მოსახვეჭელსა”, შოთა რუსთაველის ამ უკვდავი აფორიზმით დაგვირგვინდა შეხვედრა, რომელიც საჭიროა თითოეულმა ჩვენგანმა გავისიგრძეგანოთ.

- ქველმოქმედება -

საახალწლო საჩუქრები ასეულობით მოხარდმა მიიღო

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი და მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი ცერცვაძე ხაშურის მუნიციპალიტეტის დევნილ და სოციალურად დაუცველ (0-დან 20000 სარეიტინგო ქულის მქონე) 750-მდე ოჯახს საახალწლოდ საკვები პროდუქტებით დაეხმარა და საჩუქრები გადასცა. "ადამიანზე ზრუნვა ჩვენი პრიორიტეტია. შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ვეცდებით, დავეხმაროთ ყველა იმ მოქალაქეს, ვისაც ჩვენი თანადგომა სჭირდება" - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.საახალწლოდ სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დახმარება ხაშურის მერიაში ტრადიციულ ხასიათს ატარებს.

საქველმოქმედო აქციას შეუერთდა ა(ა)იპ „ხაშურსერვისი", რომელმაც სამ მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ოჯახს, კეთილი ნებითა და პირადი სახსრებით საახალწლო საჩუქრები გადასცა.

საახალწლო საჩუქრებით დასაჩუქრდნენ მცირე საოჯახო ტიპის სახლების ბენეფიციარებიც, რომლებმაც ეს ყველაფერი კომპანია „სინოჰიდროსგან" მიიღეს. ბენეფიციარები, აგრეთვე, დასაჩუქრდნენ ტკბილეულით და საყოფაცხოვრებო ნივთებით, რომლებიც მათ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანამშრომლებმა გამოუგზავნეს. საჩუქრები პატარებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერის მოადგილეებმა ზვიად ქურდაძემ, ზურაბ ჩხიტუნიძემ და მერიის განათლების კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფრუიძემ გადასცეს. „მზრუნველობამოკლებულ პატარებზე ზრუნვა თითოეული მოქალაქის მოვალეობაა. სახელმწიფო ბევრს აკეთებს და სამომავლოდაც ბევრს გააკეთებს მათთვის ცხოვრების ღირსეული პირობების შესაქმნელად", - აღნიშნეს საქველმოქმედო აქციის მონაწილეებმა.

***

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფელ წაღვლში მცხოვრები პატარები და შეზღუდული და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები ხაშურის თოჯინების თეატრში გამართულ საახალწლო სანახაობას დაესწრნენ, შემდგომ კი საჩუქრებიც მიიღეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერისგან. აქცია, რომელიც უკვე ტრადიციულ ხასიათს ატარებს, წელსაც მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

***

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების" ინიციატივით ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედ თხუთმეტივე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს საახალწლო ტკბილეული და საჩუქრები გადაეცათ. მომავალ თაობებზე და სააღმზრდელო დაწესებულებებზე ზრუნვა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.

დაჯილდოვდნენ წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერიის წარმომადგენლებთან ერთად, ხაშურის სასპორტო სკოლის დამსახურებულ მწვრთნელებს, ასევე წარმატებულ სპორტსმენებს - მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორებს და მათ მწვრთნელებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და ფულადი ჯილდოები გადასცა.

გიორგი გურასპაშვილმა წარმატებული სპორტსმენების მნიშვნელოვანი მიღწევები განსაკუთრებით აღნიშნა და განაცხადა, რომ ეს ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ძალიან საამაყოა.

„ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მუდმივად ხელს უწყობს სპორტულ ცხოვრებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, თქვენ კი, ამ მიმართულებით, მართლაც გამორჩეულები ბრძანდებით და თქვენი გმირობით მაგალითს აძლევთ საზოგადოებას",- აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა მისასალმებელ სიტყვაში.

წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების დაჯილდოება ხაშურის მუნიციპალიტეტში უკვე ტრადიციულ ხასიათს ატარებს.

ასე შეეგება ხაშური ახალ წელს

მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით და დაფინანსებით, მართლაც შესანიშნავი გალა-კონცერტით და ულამაზესი ფოიერვერკით შეეგება ქალაქი ახალი წლის შემობრძანებას. ასეულობით ჩვენს თანამოქალაქეს,ბავშვებს, ახალი წელი თავისი შემოქმედებით გაულამაზეს ჯგუფებმა „ნიკოლ-შოუ" და და „რეზო და ბავშვები". ქალაქის მთავარ მოედანზე გამართული საახალწლო კონცერტი უკვე ტრადიციის ნაწილად იქცა და იმედია კვლავაც გაგრძელდება.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.